

Nino Kochloshvili

ნინო კოჭლოშვილი

Iakob Gogebashvili Telavi State University

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Georgia, Telavi

საქართველო, თელავი

Peculiarity of Davit Turdospireli's Creative Work

დავით თურდოსპირელის შემოქმედებითი მუშაობის თავისებურება

From the archival materials of Davit Turdospireli, it's evident that the writer's interests were wide-ranging. His unpublished works primarily consist of brief prose excerpts, addressing contemporary national concerns and various public issues.

The writer primarily produced draft autographs, reflecting extensive creative efforts. Often, completed works are distinguished by the use of a different colored pen.

The study of Davit Turdospireli's autographs gave us a clear idea of the writer's writing style, the specifics of his work, and at the same time directly introduced us to the writer's worldview, his honest attitude to contemporary historical-political and cultural processes.

Key words: Davit Turdospireli, Georgian short prose

საკვანძო სიტყვები: დავით თურდოსპირელი, ქართული მოკლე პროზა

დავით თურდოსპირელის ლიტერატურულმა მემკვიდრეობამ მწერლის სიცოცხლეშივე მიიპყრო ფართო მკითხველი საზოგადოების ინტერესი. მან თავისი პირველი მოთხრობა „თავისუფლების მსხვერპლი“ 1906 წელს ცალკე წიგნად გამოსცა. მას შემდეგ თავისი შემოქმედების ნიმუშებს იგი ხშირად აქვეყნებდა ქართული პერიოდული პრესის ფურცლებზე თუ ცალკე კრებულების სახით.

დავით თურდოსპირელის მწერლური ნაღვაწი სხვადასხვა ზოგადსაკაცობრიო პრობლემასთან ერთად საინტერესოდ ეხმიანება თანადროულ ისტორიულ-პოლოტიკურ და კულტურულ მოვლენებს და არაეთვაროვანი მწერლური გზით ცდილობს მკითხველამდე სათმქელის მიტანას. თუმცა მიუხედავად ამის, 1921 წლის შემდეგ მას მხოლოდ საბავშვო თემატიკაზე შექმნილ ლექსებსა და მოთხრობებს უქვეყნებდნენ.

ბუნებრივია, დავით თურდოსპირელის ლიტერატურული მემკვიდრეობის სრულყოფილად შესასწავლად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ცნობილი და არაერთგზის გამოქვეყნებული, არამედ გამოუქვეყნებელი ნაწარმოებებიც, რომლებიც მწერლის არქივში ძირითადად შავი ავტოგრაფების სახით ინახება.

საყოველთაოდ ცნობილია ავტოგრაფების შესწავლის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ამა თუ იმ მწერლის მსოფლმხედველობის, შესაბამისად, მისი შემოქმედებითი პროცესის ინდივიდუალობისა და თავისთავადობის გამოსავლენად, მით უფრო თუ მწერლის მოღვაწეობის პერიოდი მწვავე ისტორიულ-პოლიტიკური მოვლენებს ემთხვევა.

დავით თურდოსპირელის საარქივო მასალებში, რომლებიც გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმშია დაცული, შავი ავტოგრაფების სახით მოღწეული დასრულებული მხატვრული ნაწარმოებებია, რომელთა უმრავლესობა გამოუქვეყნებელია, შესაბამისად, სამეცნიერო მიმოქცევის მიღმა დარჩენილი.

როგორც დავით თურდოსპირელის საარქივო მასალებიდან ირკვევა, მწერლის ინტერესის სფერო საკმაოდ მრავალმხრივი ყოფილა. მისი გამოუქვეყნებელი ნაწარმოებები ძირითადად თემატურად მრავალფეროვანი მინიატურებია, რომლებიც მცირე პროზისთვის დამახასიათებელი არაერთი ნიშანდობლივი თვისების მატარებელია, რაც გამოიხატება განწყობილებაზე აგებული მკრთალი, შეუმჩნეველი ეპიკური ქარგით, მძაფრი ექსპრესიით, რიტმულობით, რიგ შემთხვევაში ლირიზმითა და რეფრენით, დიალოგური სტრუქტურითა თუ ზღაპრულ-ჯადოსნურ ფანტასტიკური და ფოკლორული ელემენტების გამოყენებით.

დავით თურდოსპირელის ავტოგრაფებზე მუშაობის დროს მწერლის შემოქმედებითი პროცესისთვის დამახასიათებელი არაერთი თავისებურება გამოვლინდა.

მწერალი ძირითადად შავ ავტოგრაფებს ქმნიდა, რომლებიც ხანგრძლივი შემოქმედებითი მუშაობის კვალს ატარებეს.

განსაკუთრებით საინტერესოა იმ ნაწარმოებების ავტოგრაფები, რომლებიც, ეპოქალური მსახურების მიუხედავად, ცხადად ავლებს ავტორის პროტესტს მიუღებელი აწმყოსადმი.

დავით თურდოსპირელმა, გარკვეულწილად, ხარკი გაუღო თანადროულ ყოფას, თუმცა მის არაერთ გამოუქვეყნებელ ნაწარმოებში აშკარად ჩანს პროტესტს იძულებით თავსმოხვეული დირექტივების მიმართ.

ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა მინიატურა „ზამთარი“. ეს მინიატურა ტიპიური საბავშვო ნაწარმოებია, ზამთრის პეიზაჟებით დასურათხატებული, თოვლის მოსვლით გამოწვეული ბავშვების ემოციებით დატვირთული, მინიატურას ასეთი დასარული აქვს:

„რა ხუმარა რამ არის ზამთარი.

მან არ იცის გარჩევა ახალგაზრდისა თუ მოხუცისა.

აგერ ტუხანთ ბაბუა ყავარჯნით რომ მიხანხალებს ბამბასავით თეთრ უღვაშზე ლოლოები დაუკიდია.

ეჭიდება ბაბუა, ეჭიდება და ველაარ მოუძვრია.

გაჩაღდა, გაჩაღდა თამაში.

გუნდაობით რომ გული იჯერეს მშენებლობას შეუდგენენ...

მათ გაახსენდათ ჩრდილოეთ პოლუსის მეზამთრეები... თავი წარმოიდგინეს ყინულის გმირებდ და ჰერი...

ვინ ბელადის სურათი და საბჭოთა კავშირის დროშა აღმართა... ზოგი კიდევ დაკვირვებას აწარმოებდა თოვლზე...

მთელი ეს თამაში-საქმიანობა დაგვირგვინდა ჯანსაღი სიმღერებით ბედნიერ და საამურ ცხოვრებაზე“ (თურდოსპირელი, N 29018-12).

მინიატურა ავტორის მიერ ხელმოწერილია და როგორც მწერლის ავტოგრაფების დიდი ნაწილი, ესეც დაუთარიღებელია. საინტერესოა ავტორის მიერ გადახაზული ადგილები. დავით თურდოსპირელს გადაუხაზავს *ბელადის სურათი*, სიტყვა *ჯანსაღი* და *ბედნიერ და საამურ ცხოვრებაზე*.

დავით თურდოსპირელი თავის ძმასთან, გიორგი ქუჩიშვილთან, ერთად ადრეული ასაკიდან დადაგა ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე. იგი ხშირად მონაწილეობდა არაერთ საპროტესტო გამოსვლაში, რის გამოც ტუსაღად ყოფნის სუსხიც განუცდია.


1918 წელს რუსეთიდან ახლად დაბრუნებულს, ახალი იდეებითა და ინტერესებით მეტეხის ციხეში მიუჭინეს ადგილი. ამ ფაქტის შესახებ ავტობიოგრაფიაში გვიყვება:

„დედაჩემს გაუგია ჩემი დაჭერა და ციხესთან დამხვდა. მე ავფოფინდი, თვალეზგაბრ-წყობილი გავეძახე მისკენ, მინდა ვახარო, რომ მასთან პირშავად არა ვარ, თავი არ შემირ-ცხვენია, მტრისთვის ზურგი არ შემიქცევია. მოღერილმა ხიშტმა შემაჩერა. არც დედა მო-უშვეს ახლო. მხოლოდ შორიდან გამახნევა: „შვილო გული არ გაგიტყდეს, სულ კარგი ხალ-ხია დაჭერილი, ცუდი არც ერთი არ ურევია“ (თურდოსპირელი, N24471-72).

დავით თურდოსპირელის ლიტერატურული მემკვიდრეობა ჩვენს ქვეყანაში მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში განვითარებული ისტორიულ-პოლიტიკური მოვლენების ფონზე იქმნებოდა, რამაც, ბუნებრივია, მწერლის შემოქმედებით ცხოვრებაზეც გავლენა იქონია.

მწერალს ქვეყანაში განვითარებულმა ისტორიულ-პოლიტიკურმა მოვლენებმა სათქმელის შენიღბვის სხვადასხვა გზისკენ უბიძგა. რიგ შემთხვევაში თუ შეფარვით ცდილობდა უფლებაყ-რილი ქვეყნისთვის გზა ხსნისა ეჩვენებინა, რიგ შემთხვევაში კი თითქმის ერთი და იმავე სათა-ურით აბსოლუტურად განსხვავებული შინაარსის ნაწარმოებებს ქმნიდა.

ინტერესს იწვევს 1916 წლით დათარიღებული ნოველა „გულების სამრეცხველო“.



დავით თურდოსპირელის ლიტერატურულმა მემკვიდრეობამ თითქმის ანალოგიურად დასათაურებული ნაწარ-მოები „გულების სამრეცხავო“ შემოგვი-ნახა, რომელიც 1919 წელს გამოცემულ დავით თურდოსპირელის ნოველათა კრე-ბულში „გაწვეტილი ზღაპარი“ დაბეჭდა.

1916 წლით დათარიღებულ ნოვე-ლას „გულების სამრეცხველო“ და 1919 წელს გამოცემულ „გულების სამრეცხა-ოს“ ერთი ნაწარმოების სხვადასხვა ვა-რიანტებს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ.

1916 წლით დათარიღებული ნო-ველა „გულების სამრეცხველო“ ხელნა-წერის სახით ინახება ლიტერატურის მუზეუმში დაცულ მწერლის არქივში. ვფიქრობთ, უფრო გვიან უნდა იყოს და-წერილი 1919 წელს გამოცემულ დავით

თურდოსპირელის ნოველათა კრებულში „გაწვეტილი ზღაპარი“ დაბეჭდილი ნაწარმოები „გუ-ლების სამრეცხავო“. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ სწორედ ეს გვიანდელი ნაწარმოები გამოქვეყნდა საქართველოს დამოუკიდებლობის დროს.

1919 წელს გამოცემულ „გულების სამრეცხავოსა“ და 1916 წლით დათარიღებული „გულების სამრეცხველოში“ ერთსა და იმავე პრობლემას ვხვდებით, კაემნიანი, ნაღვლიანი ქვეყნისთვის უკე-თესი მერმისისათვის ზრუნვის პრობლემას. თუმცა, „გულების სამრეცხავოში“ მკვეთრად იგრძნობა მწერლის კრიტიკულ-მამხილებელი პათოსი.

1916 წლით დათარიღებულ ნოველაში ცხოვრების მახინჯი მხარეები თუ განზოგადებული სახით არის წარმოდგენილი, 1919 წელს გამოქვეყნებულ ნოველაში ადამიანთა გულების სიბინ-ძურეს, სულების დახავსებულობას უკვე იმპერიალიზმის შხამ-გესლიანი კვამლისგან მომდინარედ თვლის მწერალი.

დავით თურდოსპირელის კრიტიკულ-მამხილებელი პათოსი პუბლიცისტურ წერილებშიც აშკარაა. 1921 წელს გამოქვეყნებულ წერილში „ლორის მიდამოებში“ იგი წერდა:

„თითქმის ერთი ციდაა ჩვენი სამშობლო... მისი ერთი საზღვრიდან რომ შურდულით ქვა გავტყორცნოთ მეორე საზღვარს გასცდება... ასეთი სახელმწიფოს განკუთვნილ ნაწილებზე არ უნდ იყოს ყოყმანი...

მველ ისპანიელებს უთქვამთ: „გვიყვარს გამარჯვება შეუძლებელისო“, ჩვენ კი... არამც თუ შეუძლებლობის არეში არ ვიჭრებით – შესაძლებელ და ადვილად გასამარჯვებელ ბრძოლის საქმეშიც ვტოტმანობთ...

ბევრ რამეში შეგვიძლია გამარჯვება...

ჩვენი მოვალეობაც ამას მოითხოვდა...

წინაპართა საფლავები... შთამომავლობის აკვანთა კეთილდღეობა – ყველა ბრძოლისკენ მოგვიწოდებდა... ყველა გვავალეობ დაწვა-დაგვითა და ზუზვით შემოხაზულ კუთხეების ერთხელ და სამუდამოდ შემოერთებას...

მაგრამ?!...“ (თურდოსპირელი, 1921, გვ. 2).

დავით თურდოსპირელი 1921 წლამდე სისტემატურად აქვეყნებდა პულიცისტიკურ ნააზრევს ქართული პერიოდული პრესის ფურცლებზე. 1921 წლის შემდეგ მწერლის ლიტერატურული მემკვიდრეობის დიდი ნაწილითან ერთად პულიცისტიკური ნააზრევიც მხოლოდ მწერლის არქივის კუთვნილება ხდებოდა.

დავით თურდოსპირელის დასრულებული ნაწარმოებების ავტოგრაფები, ხშირ შემთხვევაში, სხვადასხვა ფერის კალმითაა დაწერილი, შეინიშნება ჩასწორებები განსხვავებული ფერის კალმით, ან ჩასწორება სხვა დამოუკიდებელ ფურცელზეა ასახული, რაც, რიგ შემთხვევაში ნაწარმოების იდეურ მხარეს ეხება და მთლიანად ცვლის შინაარსს. ჩასწორებების შეტანისას ავტორის მიერ გადაწერილი ასლებიც იშვიათად გვხვდება, როგორც ჩანს, მწერალი ავტოგრაფებს არ ათეთრებდა.

დავით თურდოსპირელის ავტოგრაფების უმრავლესობა ავტორის მიერ ხელმოწერილია, ძირითადი ნაწილი დაუთარილებელია, როგორც საარქივო მასალების გაცნობიდან ირკვევა, ავტოგრაფებს მწერალი შეგნებულად არ ათარილებდა, ვფიქრობთ, თავისუფალი აზრის დასაცავად.

დავით თურდოსპირელის ავტოგრაფების შესწავლამ ნათელი წარმოდგენა შეგიქმნა მწერლის წერის მანერაზე, მუშაობის სპეციფიკაზე, ამავდროულად უშუალოდ გაგვაცნო მწერლის მსოფლმხედველობა, მისი გულწრფელი დამოკიდებულება თანადროულ ისტორიულ-პოლიტიკურ თუ კულტურულ პროცესებთან.

გამოყენებული ლიტერატურა:

თურდოსპირელი, დ. გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, N29018-12.

თურდოსპირელი, დ. გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, N24471-72.

თურდოსპირელი, დ. (1921). ლორის მიდამოებში, II, გაზეთი „ერთობა“, 12: 2.

References:

Turdosp'ireli, D. Giorgi Leonidzis sakhelobis kartuli lit'erat'uris sakhelmts'ipo muzeumi. [Giorgi Leonidze State Museum of Georgian Literature]. N29018-12.

Turdosp'ireli, D. Giorgi Leonidzis sakhelobis kartuli lit'erat'uris sakhelmts'ipo muzeumi. [Giorgi Leonidze State Museum of Georgian Literature]. N24471-72.

Turdosp'ireli, D. (1921). Loris midamoebshi. II. [In the Lori Region II]. Gazeti „ertoba“, 12: 2.